პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ **შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯში განხორციელებული ვიზიტის** დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა მაისურაძე

წევრები:

გიორგი ბერაია

თამარ წასყიდაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

[redacted] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 ივლისის N649 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 30 და 31 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფმა, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში განახორციელა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ექსპერტები დაწესებულებაში გამოცხადდნენ 10:00 საათზე, გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, გააცნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, კერძოდ, გადამოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა და მის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, ხარისხის მართვის შიდამექანიზმები, ბიბლიოთეკა, სახელმძღვანელო და დამხმარე მატერიალური და ელექტრონული ფორმატის საბიბლიოთეკო რესურსი.

გასაუბრება შედგა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და ამავე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შედგენილი პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. სამუშაო დღის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯამდა გაწეული მუშაობის შედეგები და შემოწმებული მასალის საფუძველზე, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ეცნობათ ძირითადი მიგნებები.

ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები: „ევექსის დიაგნოსტიკური ცენტრი (პეტრე ქავთარაძის ქ. 16), ი. ციციშვილის სახელობის „ბავშვთა ახალი კლინიკა“ (დიღმის მასივი, ლუბლიანას 21), მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო (ლუბლიანას ქ. 2/6), მოხდა ინტერვიურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

დაწესებულებაში დაბრუნების შემდეგ, ექსპერტებმა შეამოწმეს მატერიალური სტანდარტით გათვალისწინებული რესურსები (საგანმანათლებლო ადაპტირებული სივრცე, A, B, C ტიპის სასწავლო გარემო), ვებგვერდი, რეესტრი, საქმისწარმოებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, შედგა რეესტრსა და საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

დღის ბოლოს, ექსპერტებს შორის შეჯამდა გაწეული მუშაობა და გაკეთდა დასკვნის პროექტი, ძირითადი მიგნებები ეცნობა დაწესებულების ხელმძღვანელს და ადმინისტრაციულ პერსონალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	■
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	☐	■
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	□	■
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები,	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

	პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	□	■
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	□	■
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	□	■

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯი ხელს უწყობს სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და პროფესიული განათლების, კონკრეტულად კი ექთნის პროფესიის პოპულარიზაციას. ამ მიზნით კოლეჯის ადმინისტრაციის ცნობით, 2017 წლის დეკემბერსა და 2018 წლის მარტში შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივმა საექთნო კოლეჯმა 5 (ხუთი) ზოგად საგანმანათლებლო სკოლის (მე-117, 180-ე, 212-ე, 139-ე, 112-ე) მე-7, მე-8 და მე-9 კლასების სამიზნე ჯგუფებში განახორციელა პროექტი სახელწოდებით: "ავადმყოფის მოვლის პრინციპები და პირველადი დახმარება," რომელსაც უძღვებოდნენ სამედიცინო კორპორაცია ევექსის მედდა ტრენერები, რომლებიც ამავე დროს არიან შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი 2018

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამები

ქვესტანდარტი - 1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. - **დარღვეულია, კერძოდ:**

1. საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ - ჩარჩო დოკუმენტი.

ქვესტანდარტი 1.2. - დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ - **დარღვეულია, კერძოდ:**

1. კატალოგში არ არის ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი - საკონტაქტი ინფორმაცია.

სტანდარტი 2 - მატერიალური რესურსი

ქვესტანდარტი 2.5 - დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა - **დარღვეულია, კერძოდ:**

1. დაწესებულებაში არ არსებობს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს საქმისწარმოება (პრეზიდენტის ბრძანებულება N414, 01.07.1999წ).

სტანდარტი 3 - ადამიანური რესურსი

ქვესტანდარტი 3.2 - საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი - **დარღვეულია, კერძოდ:**

1. საგანმანათლებლო პროგრამა არ ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლ პროგრამის „საექთნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

განათლება“ მოთხოვნები პროგრამის განმახორციელები პირის მიმართ დაწესებულების 28 პირიდან დარღვეული აქვს 12 პირს.

ქვესტანდარტი 3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - **დარღვეულია, კერძოდ**:

1. დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი შერჩეულია შესაბამისი პროგრამისა და შიდა მარეგულირებელი აქტის მოთხოვნების დარღვევით. მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას დარღვეულია პერსონალის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების პროცედურული და შინაარსობრივი საკითხები.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1 - საგანმანთლებლო პროგრამები

ქვესტანდარტი 1.1.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში არ არის მითითებული სასწავლო პროცესის განხორციელების მექანიზმები, სად, რომელ აუდიტორიაში ან ლაბორატორიაში, ან კოლეჯსა თუ კლინიკაში ან ერთდროულად ორივეში ან რა რესურსებითა და თვალსაჩინოებებით ხორციელდება ესა თუ ის მოდული.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მიეთიეთოს პრაქტიკული კომპონენტის განხორცილების პრაქტიკის ობიექტი.
3. რამდენადაც სტუდენტთა შეფასების უწყისი წარმოადგენს მტკიცებულებას და ექვემდებარება ხანგრძლივი დროით შენახვას (25 წელი), უმჯობესია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი მექანიზნებით ხორციელდებოდეს მათი აღრიცხვა-რეგისტრაცია.

ქვესტანდარტი 1.6.

1. ხარისხის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარში დაზუსტდეს კითხვების ფორმულირება, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს, განახორციელოს გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომელსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
2. გამოკითხვის ანკეტა -კითხვარი ჩასწორდეს პროფესიული განათლების ტერმინთა შესაბამისად. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის ლექციებზე დასწრება გაფორმდეს შესაბამისი აქტით, სადაც გაკეთდება სრული ჩანაწერი მეცადინეობის მსვლელობის შესახებ, რომელიც სამსახურის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის შეფასებისა და მისი გაუჯობესების მიმართულებით. სხვა შემთხვევაში მეცადინეობებზე დასწრება აზრს მოკლებულია.

სტანდარტი 2 - მატერიალური სტანდარტი

ქვესტანდარტი 2.5.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება"- პროფესიულ სტუდენტთან დასადებ ხელშეკრულებაში მხარეთა მოვალეობები დაზუსტდეს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების მიხედვით.

ქვესტანდარტი 2.6.

1. დაწესებულებაში პერსონალისა და სტუდენტის უსაფრთხოების მექანიზმების სრულფასოვნად შესრულების მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ დაამატოს დაცვისა და უსაფრთხოების თანამშომელი.

ქვესტანდარტი 2.9

1. დაწესებულების მიერ გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დახვეწის მიზნით, რეკომენდებულია განისაზღვროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები, სტრატეგიული დაგემვა დაეფუძნოს კვლევის შესაბამის მეთოდებს (მაგ. SWOT ანალიზი ან სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

VII. დაწესებულების მისია

დაწესებულების მისიაა ინოვაციური, ხარჯთეფექტური და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და დასაქმების მაქსიმალური უზრუნველყოფა. ცალკე გამოტანილია სამუშაო პრინციპები: პროფესიონალი კადრების მომზადება, სწავლების, სწავლის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება; ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე კოლეჯის როლის ზრდა;ინდივიდუალური მიდგომა ყოველი სტუდენტისადმი; სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტია სასწავლო პრაქტიკაზე, ინოვაციაზე, ლიდერობასა და ადვოკატირებაზ, კომფორტულ სასწავლო გარემოზე,მოტივირებული პედაგოგზე;ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობაზე.

დაწესებულების მიზანს წარმოადგენს საქართველოში კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ექთნების მომზადება, კარიერული ზრდის ხელშეწყობა და დამსაქმებლების მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინებალიდერის თვისებებისხც განვითარება სტუდენტებში, პერსონალის პედაგოგიური დახელოვნებახარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სწავლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების მუდმივი სრულყოფა; კოლეჯის ცხოვრებაში სტუდენტების უშუალო ჩართვისა და მათი აქტიურ მონაწილეობაში ხელშეწყობასწავლების ინოვაციური მეთოდების აპრობირება და სასწავლო პროცესში მათი დანერგვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯს სურვილი აქვს დაიმატოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასაბუთებს სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის გაზრდას 80 ერთეული სტუდენტით.
დაწესებულებაში არსებული A და B ტიპის სასწავლო გარემო უზრუნველყოფს აღნიშნული კვოტის დაკმაყოფილებას (სასწავლო აუდიტორიებიდან და მატერუალურ ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე), C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც განსაზღვრულია 20 სტუდენტით, ერთია დაწესებულებაში.
შესაძლებელია, ჯგუფის დატვირთვიდან გამომდინარე, დაიტვირთოს 25% -ით, 150-160 სტუდენტით, რადგან პროგრამის 50% გადის პრაქტიკის ობიექტზე და დარჩენილი თეორიული მოდულებიდან მხოლოდ 50%-ს ჭირდება C ტიპის სასწავლო გარემო, აქედან გამომდინარე, C ტიპის სასწავლო გარემოს, დატვირთვა 1 ჯგუფზე 25%-ია, და ერთ ცვლაში შესაძლებელია მხოლოდ, 4 ჯგუფით ანუ 80 სტუდენტით დატვირთვა.
ცნობილია ისიც, რომ დაწესებულება ამავე დროს ახორციელებელს, „პრაქტიკოსი ექთნის“ პროფესიულ პროგრამასაც, სადაც კვოტით განსაზღვრულია 150 სტუდენტი.

ექსპერტთა ვიზიტამდე დაწესებულებაში არსებობდა პროგრამის „საექთნო განათლება“ №20 09.07.2018 დამტკიცების ბრძანება, რომელზეც დაწესებულების დირექტორი, პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, ადმინისტრაციის საბჭოს №4 ოქმის საფუძველზე აწერს ხელს, რითაც ამტკიცებს დანართი 1-ში წარმოდგენილ დოკუმენტებს. წინასავტორიზაციო მასალით დანართი 1-ით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

წარმოდგენილი იყო „საექთნო განათლების“ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი და არა, კოლეჯის მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამა.

ექსპერტებმა, ავტორიზაციის ვიზიტის დასაწყისში, კოლეჯის ხელმძღვანელობას მიმართეს განმარტებისათვის, რათა დაედასტურებინათ, რომ დირექტორის ბრძანებით №20 09.07.2018 დამტკიცებული დანართი 1-ით წარმოდგენილი დოკუმენტი წარმოადგენდა დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „საექთნო განათლება“. რაზედაც მიიღეს პასუხი, რომ მათ მხოლოდ იხელმძღვანელეს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით და დირექტორის ბრძანებით სწორედ ეს დოკუმენტი დაამტკიცეს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია პროგრამის ავტორიზაციით დამატების შემთხვევაში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავოს საკუთარ დაწესებულებაზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტებს, ვიზიტის პერიოდში დახვდათ ჩარჩო დოკუმენტით დამტკიცებული კურიკულუმი. მოდულები, სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების ჩამონათვალი. აქედან გამომდინარე, კოლეჯის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შეფასება ექსპერტებმა ვერ შეძლეს არ არსებობის გამო.

ავტორიზაციის ექსპერტებისგან მიღებული ზემოაღნიშნული განმარტებების მიღების შემდეგ, ვიზიტის მეორე დღეს კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის №23 31.07.2018 ბრძანება, რომლითაც ის ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „საექთნო განათლება“.

ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოსწორებული შეუსაბამობის შემდეგ, დოკუმენტის პირველი გვერდი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების შესახებ, დაწესებულების ემბლემას და დასახელებას, პროგრამის დასახელებას, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაციას.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია: სახელწოდება, პროფესიული კვალიფიკაციის დონე, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება კლინიკური სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ინფორმაცია განმახორციელებელისა და დანართების შესახებ - სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.

პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში მოდულების სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის განაწილებული და დაცულია მოდულებით განსაზღვრული წინაპირობები. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების გრაფაში განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, თუმცა წინაპირობით მოდულებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

შორის დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის არ იყო განსაზღვრული. დაწესებულების დირექტორის № 23 31.07.2018 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში კოლეჯმა ვიზიტის პერიოდში შეიტანა ცვლილება და განმეორებითი შეფასებისათვის განსაზღვრა დროის შუალედი.

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. თუმცა, საკვალიფიკაციო გამოცდის მექანიზმები და პროცედურები კოლეჯს არ გააჩნია. დირექტორის №23 31.07.2018 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში კოლეჯმა შეიტანა საკვალიფიკაციო გამოცდის მექანიზმები და პროცედურები, სადაც აღნიშნულია, რომ საკვალიფიკაციო გამოცდა წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის შემაჯამებელ, ინტეგრირებულ, ღია და დახურული ტესტური დავალებებისაგან შემდგარ წერით გამოცდას. აღნიშნული მექანიზმი ექსპერტთა ჯგუფის მიერ არასაკმარისად იქნა მიჩნეული, ვინაიდან საკვალიფიკაციო გამოცდით უნდა დასტურდებოდეს არა მხოლოდ ცოდნა, არამედ პირის კომპეტენცია, რაც ცოდნისა და უნარების ერთობლიობაა.

არ იყო განსაზღვრული არაქართულენოვანი პირების პროგრამაზე დაშვების მექანიზმები, რაც ვიზიტის მეორე დღეს იქნა გასწორებული და წარმოდგენილი.

სასწავლო გეგმაში საგნის/მოდულის წინაპირობად მითითებულია სრული ზოგადი განათლება, რაც ცალსახად წარმოადგენს კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე დაშვების წინაპირობას. აღნიშნული გასწორებული იქნა ვიზიტის პერიოდში.

მოდულებში არ არის მითითებული სასწავლო პროცესის განხორციელების ადგილი - სად, რომელ აუდიტორიაში ან ლაბორატორიაში, ან კოლეჯსა თუ კლინიკაში ან ერთდროულად ორივეში ან რა რესურსებითა და თვალსაჩინოებებით ხორციელდება ესა თუ ის მოდული. ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის პერიოდში იქნა გასწორებული.

არ იყო წარმოდგენილი სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის მოდულების მითითებით, რომელიც გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში.

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (ბოლო ცვლილება/დამატება დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N 24 ბრძანება, თავი II, მუხლი 2) საფუძველზე, სასწავლო პროცესი დაყოფილია სემეტრებად. აღნიშნულ წესში არის რეგულაცია (მუხლი 7) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, მაგრამ არ არის გაწერილი მექანიზმები, საჭიროების შემთხვევაში თუ ვინ შეიმუშავებს და ვინ ამტკიცებს მას.

<u>შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:</u>

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ შეესაბამება მინისტრის 120/ნ ბრძანებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, სპეციალიზაციის კოდს- 090554 .

პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და დარგობრივ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო 171 კრედიტის დარგობრივი მოდულები ითვალისწინებს საბაზისო კომპეტენციებს, თეორიული ცოდნის გადაცემას, პრაქტიკულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

მეცადინეობასა და კლინიკურ პირობებში სწავლის შედეგების მიღწევას. შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს - 180 კრედიტს, სამუშაო კვირის რაოდენობა - 123, პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს - 210 კრედიტს,სამუშაო კვირის რაოდენობა 144-ს, სწავლის ხანგრძლივობა-სავარაუდოდ 3 წელიწადი. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულებას, ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებელად, 2018 წლის 19 მარტს 6 (ექვსი) წლის ვადით, სამედიცინო კორპორაცია „ევექსთან“ გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და არა ხელშეკრულება, რომელსაც ითხოვს აღნიშნული საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი.

კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“, ჩარჩო დოკუმენტში, კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება-მოვალეობების რეგულირებისათვის აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელი პირის, ექთნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტისა და საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე ანგარიშგებას/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას, პროფესიული სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილებას, პროფესიული სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის საკითხის დასმის უფლებამოსილებას.

დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში უწერია, რომ (მუხლი 1.2.) „ურთიერთთანამშრომლობის მხარდაჭერის/ხელშეწყობის მიზნით მხარეებს შორის შესაძლოა დამატებით გაფორმდეს ხელშეკრულებები, რომლითაც განისაზღვრება კონკრეტული/დამატებითი მხარდაჭერის/ხელშეწყობის პირობები“, თუმცა არ მოიცავს ჩარჩო დოკუმენტებით გათვალისწინებულ ჩანაწერს. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ მე-11 პუნტში - „კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის - ექთნების ულება-მოაველობების რეგულირება“ მოცემულია ჩანაწერი: „კლინიკური მოდულების გავლის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებულია მემორანდუმი, ხოლო უშუალოდ შესაბამისი მოდულის განხორციელების ეტაპზე ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელი პირის, ექთნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტისა და საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე ანგარიშგებას/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

პროფესიული სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილებას, პროფესიული სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის საკითხის დასმის უფლებამოსილებას."

ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები: „ევექსის დიაგნოსტიკური ცენტრი (პეტრე ქავთარაძის ქ. 16), ი. ციციშვილის სახელობის „ბავშვთა ახალი კლინიკა" (დიღმის მასივი, ლუბლიანას 21), მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო (ლუბლიანას ქ. 2/6), შედგა ინტერვიუ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ 7 (შვიდ) პირთან. გამოიკვეთა, რომ თითო ინსტრუქტორი უზრუნველყოფს 7 (შვიდი) პროფესიული სტუდენტის სწავლებას.

დაწესებულება არ აწარმოებს პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების რეგისტრაციას.

<u>ხარვეზი:</u>

1. საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება" - ჩარჩო დოკუმენტი.

<u>რეკომენდაცია:</u>

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში არ არის მითითებული სასწავლო პროცესის განხორციელების მექანიზმები, სად, რომელ აუდიტორიაში ან ლაბორატორიაში, ან კოლეჯსა თუ კლინიკაში ან ერთდროულად ორივეში ან რა რესურსებითა და თვალსაჩინოებებით ხორციელდება ესა თუ ის მოდული.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მიეთიეთოს პრაქტიკული კომპონენტის განხორცილების პრაქტიკის ობიექტი.
6. რამდენადაც სტუდენტთა შეფასების უწყისი წარმოადგენს მტკიცებულებას და ექვემდებარება ხანგრძლივი დროით შენახვას (25 წელი), უმჯობესია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი მექანიზნებით ხორციელდებოდეს მათი აღრიცხვა-რეგისტრაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამით (დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N22 ბრძანებით) (დანართი №2)
- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N 23 ბრძანებით -მეხუთე საფეხურის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

საგანმანათლებლო პროგრამა -„საექთნო განათლება“ ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.(დანართი №3)

- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებული (დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N 22 ბრძანებით)(დანართი №2)
- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გამსაზღვრა (დანართი №8)
- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N 24 ბრძანებით) (დანართი №3)
- მოდულური პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურებით.
- პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისები
- პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმი
- კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციით http://www.college.dtmu.ge/index.php?c=2&sub=7#

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე http://www.college.dtmu.ge/index.php?c=2&sub=7# და მოიცავს მხოლოდ პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამას.

კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულებისა და დაინტერესებული პირებისთვის, შიდა გამოცდის (ჩარიცხვის) წარმატებით ჩაბარების, კოლეჯის სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და სურვილის შემთხვევაში „სამედიცინო კორპორაცია ევექსისაგან“ სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების მიღების შესახებ. ასევე, პროფესიული პროგრამის მიზანს, საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლების ენას, დაშვების წინაპირობას, სწავლის შედეგებს, დასაქმების სფეროებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი 2018

პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებას. კატალოგში არ არის ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი - საკონტაქტი ინფორმაცია.

<u>ხარვეზი:</u>

1. კატალოგში არ არის ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი - საკონტაქტი ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამით(დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N 22 ბრძანებით)
- ვებ გვერდი http://www.college.dtmu.ge/index.php?c=2&sub=7#

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამის - „საექთნო განათლება", სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N 23 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა(დანართი №3)
- პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტი
- პროფესიული სტანდარტები

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N 05, 16.11.2015/ N24, 31.07.2018) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული ადგენს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, განათლების აღიარების, კვალიფიკაციის მინიჭების წესებს.

ვიზიტის დროს გადამოწმდა რეესტრის წარმოება. კერძოდ, ასახული ინფორმაცია სტუდენტებზე, პროფესიულ მასწავლებლებზე, ზოგადად, კოლეჯის შესახებ. ბრძანებების მიხედვით შემოწმდა შესაბამისობა სტუდენტების რაოდენობასა და მათ სტატუსებს შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „პრაქტიკოსი ექთანი"- განსახორციელებელი მოდულების ასახვა.

გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა რიგი ტექნიკური და საქმისწარმოებიდან გამომდინარე უზუსტობა, კერძოდ 45 სტუდენტის ნაცვლად ფიქსირდებოდა 47 სტუდენტი, დუბლირება იყო ერთი სტუდენტის ჩანაწერის, რაც შეეხება მეორე სტუდენტს, უზუსტობა გამოწვეული იყო საქმისწარმოებიდან გამომდინარე, რაც გასწორდა შესაბამისი ბრძანებით (№ 25. 31.07.2018) და აისახა რეესტრში.

ასევე დაფიქსირდა, რომ 2017 წლის საშემოდგომო მიღების სტუდენტებზე მისაბმელი იყო სასწავლო პროგრამით განსახორციელებელი მოდულები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, (N 05, 16.11.2015/ N24, 31.07.2018) (დანართი №4)
- რეესტრის ვიზუალური დათვალიერება
- სტუდენტთა პირადი საქმეები
- დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება (N25. 31.07.2018) (დანართი №5)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, მუხლი 15, რომლის მიხედვითაც პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმების გზით უზრუნვეყოფს სტუდენტების მიერ მილევად რეჟიმში სწავლის დასრულებას. ან მათ გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მობილობის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ბარაკონთან“, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეასთან“, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (N 05, 16.11.2015/ N24, 31.07.2018), მუხლი.15
- მემორანდუმი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ (08.02.2016)
- მემორანდუმი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ბარაკონი“ (02.05.2018)
- მემორანდუმი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ (17.05.2018)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ. N04, 07.06.2018) “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დასახული მიზნის განსახორციელებლად იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე PDCA - ციკლის მიდგომას; სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით შემუშავებულია „მოდულის შეფასების კითხვარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

სტუდენტებისათვის“, „კითხვარი პროფესიული მასწავლებლისთვის, პერსონალისათვის“, „ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტებისათვის“, „გამოკითხვა კუსდამთავრებულებისათვის“, „გამოკითხვა დასაქმებულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან“, „დამსაქმებლის გამოკითხვა“.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ხდება დასწრება მოდულებზე, როგორც პროცესის მიმდინარეობის, ასევე შედეგების შეფასება, თუმცა დაწესებულება არ ახორციელებს დასწრებისა და შემოწმების შედეგების დოკუმენტირებას.

<u>რეკომენდაცია:</u>

1. ხარისხის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარში დაზუსტდეს კითხვების ფორმულირება, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს, განახორციელოს გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომელსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
2. გამოკითხვის ანკეტა -კითხვარი ჩასწორდეს პროფესიული განათლების ტერმინთა შესაბამისად. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის ლექციებზე დასწრება გაფორმდეს შესაბამისი აქტით, სადაც გაკეთდება სრული ჩანაწერი მეცადინეობის მსვლელობის შესახებ, რომელიც სამსახურის მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის შეფასებისა და მისი გაუჯობესების მიმართულებით. სხვა შემთხვევაში მეცადინეობებზე დასწრება აზრს მოკლებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანება (N04, 07.06.2018) “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- ანკეტა-კითხვარები
- წლიური ანგარიში
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი ქ. თბილისში ა. წერეთლის გამზ. N 117, მე-3 სართულზე საიჯარო ხელშეკრულებით ფლობს 1255 კვ.მ ფართის ოდენობას, [redacted] მიმდინარე პერიოდში დასტურდება დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით, 2016 წლის 05 ოქტომბერს დადებული ქვეიჯარის საფუძვლზე აღებული ფართის, კოლეჯის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენება (N01-1248, 19.06.2018)
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. თბილისი ა. წერეთლის გამზ. N 117, მე-3 სართული	1255 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერი
- საიჯარო ხელშეკრულება (01.06.2016)
- ქვეიჯარის ხელშეკრულება (05.10.2016)
- კორესპონდენცია (N01-1248, 19.06.2018)
- ფაქტობრივი მდგომარეობა
- აზომვითი ნახაზი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამებისთვის გამოყოფილია აუდიტორიები შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით, სასწავლო გარემოში არის მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლისათვის, კომპიუტერი, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი.

A ტიპის სასწავლო გარემოსთვის განკუთვნილია შემდეგი აუდიტორიები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

N1 -30 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის,, N3-16 ადგილიპროფესიული სტუდენტისთვის, N4 -18 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, N5-18 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის,

N6 -16 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, N7-16 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის,

N8 -18 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, N10-14 ადგილიებ პროფესიული სტუდენტისთვის.

რაც შეეხება B ტიპის სასწავლო გარემოს აუდიტორია N2 აღჭურვილია თითოეულ პროფესიულ სტუდენტისა და მოდულის გამახორციელებლისათვის განკუთვნილი პერსონალური კომპიუტერით, მაგიდითა და სკამით; აუდიტორიაში არის დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, პრინტერი -კომბაინი, ფლეშ-მეხსიერება.

C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამის - „საექთნო განათლება“- მოდულის მიხედვით მოთხოვნილი შესაბამისი მასალით/მულაჟითა და ნედლეულით.
კოლეჯის აუდიტორიებიდან და მატერუალურ ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე, C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც განსაზღვრულია 20 სტუდენტით, ერთია დაწესებულებაში.
შესაძლებელია, ჯგუფის დატვირთვიდან გამომდინარე დაიტვირთოს 25 % -ით, 150-160 სტუდენტით, რადგან პროგრამის 50 % განხორციელდება პრაქტიკაზე და დარჩენილი თეორიული მოდულებიდან, მხოლოდ 50 %- ს ჭირდება C ტიპის სასწავლო გარემო. აქედან გამომდინარე, C ტიპის სასწავლო გარემოს დატვირთვა 1 ჯგუფზე 25 -% -ია და ერთ ცვლაში შესაძლებელია მხოლოდ, 4 ჯგუფით ანუ 80 სტუდენტით დატვირთვა.

პროფესიული სტუდენტებისათვის გამოყოფილია კვების ბლოკი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- ვიზუალური დათვალიერებით
- შესყიდვის დოკუმენტებით
- ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები, კოლეჯს აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქვეიჯარის ხელშეკრულება (05.10.2016)
- გადახდის ქვითრებით
- გაფორმებული ხელშეკრულებით
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადამოწმებულ იქნა მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი/სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში, ზოგიერთი მითითებული რესურსი ელექტრონულ ფორმატისაა და ჩატვირთული ბიბლიოთეკის კომპიუტერებში, ასევე ჩაწერილია CD დისკზე და დამუშავებულია შესაბამისი წესით. ბეჭდური სახელმძღვანელოები გატარებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო წიგნში არსებული წესის შესაბამისად.

ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური და ელექტრონული კატალოგები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, ბიბლიოთეკის მუშაობას არეგულირებს ბიბლიოთეკის შინაგანაწესი, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს საძიებო სისტემა Openbiblio. ბიბლიოთეკაში განთვასებულია პრინტერი-კომბაინი, კომპიუტერი ბიბლიოთეკარისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდი შეადგენს 484 წიგნად ერთეულს:
ქართულენოვანი ლიტერატურა - 62 ერთეული
ინგლისურენოვანი ლიტერატურა - 422 ერთეული
ელექტრონული წიგნები (CD) – 48 ერთეული

ექსპერტთა ვიზიტისას, მოდულის სასწავლო რესურსში მითითებული პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის/კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის მიერ მომზადებული სალექციო კურსი იყო ამობეჭდილია, მაგრამ არ იყო დამუშავებულია სათანადო წესით, რაც გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში, ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის შინაგანაწესი
- საინვენტარიზაციო წიგნი
- პროფესიული პროგრამის მოდულები
- პროფესიული სტუდენტების ფორმულარები
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. კოლეჯში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, B ტიპის სასწავლო გარემო, კომპიუტერები გამოყოფილია ადმინისტრაციისათვის, ბიბლიოთეკისთვის. კომპიუტერით სარგებლობის უფლება აქვთ სტუდენტებს, პროფესიულ მასწავლებლებს. შენობაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

კოლეჯი იყენებს საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი www.college.dtmu.ge კოლეჯს გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰოსტინგით მომსახურებაზე, ელ.ფოსტა info@college.dtmu.ge

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- შესყიდვის დოკუმენტებით
- ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქმისწარმოებას ახორციელებს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ეყრდნობა შიდამარეგულირებელი წესითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილ რეგულაციებს, ასევე შესაბამისი სტრუქტურების მიერ გამოცემულ შიდასამართლებრივ აქტებს.

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, თუმცა დაწესებულებაში არ არსებობს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რის მიხედვიდათაც უნდა განხორციელდეს საქმისწარმოება(პრეზიდენტის ბრძანებულება N414, 01.07.1999წ).

შემოწმდა შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის, შიდა სამართლებრივი აქტების (ბრძანებების), მომსახურების ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები. ბრძანებების აღრიცხვა ხდება ჟურნალში გატარებით, რომელიც ზონარგაყრილი და გადანომრილია. შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები დაინომრა და აიკინძა დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში. თუმცა, დაწესებულებაში არ არის საქმისწარმოების ერთიანი მიდგომა და სრულფასოვნად არ ხორციელდება საქმისწარმოება.

დაფიქსირდა რომ არ ხდება სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“- პროფესიულ სტუდენტთან დასადებ ხელშეკრულებაში არ არის შესაბამისობა (მუხლი 3.2.4) ჩარჩო დოკუმენტთან (მუხლი. 12).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარვეზი:

1. დაწესებულებაში არ არსებობს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს საქმისწარმოება (პრეზიდენტის ბრძანებულება N414, 01.07.1999წ).

რეკომენდაცია:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება"- პროფესიულ სტუდენტთან დასადებ ხელშეკრულებაში მხარეთა მოვალეობები დაზუსტდეს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სარეგისტრაციო ჟურნალებით
- ვიზუალური დათვალიერებით
- საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით
- სტუდენტის ხელშეკრულება (დანართი №6)

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ფლიგელში, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციის გეგმა, რომლის შესაბამისადაც განთავსებულია დამუხტული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

ვებგვერდზე განთვასებულია დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება და პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.

დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებას 24 საათის მანძილზე იცავს, 1 (ერთი თანამშრომელი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, სამედიცინო კაბინეტში არის, დებულებით დაზუსტებული მედიკამენტები, მათი აღწერისა და გამოყენების სიხშირის დასადგენად, ხდება აღიცხვა სარეგისტრაციო ჟურნალში.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ვერ დადასტურდა საევაკუაციო გეგმის უფლებამოსილ პირთან/უწყებასთან შეთანხმების ფაქტი. დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე საპასუხო წერილით წარმოდგენილ იქნა მტკიცებულება, რის მიხედვითაც დასტურდება საევაკუაციო გეგმის უფლებამოსილ უწყებასთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან (06.01.2015, N23567) შეთანხმების ფაქტი. რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა.

<u>რეკომენდაცია:</u>

1. დაწესებულებაში პერსონალისა და სტუდენტის უსაფრთხოების მექანიზმების სრულფასოვნად შესრულების მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ დაამატოს დაცვისა და უსაფრთხოების თანამშომელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება (დირექტორის ბრძანება (№07;16.09.2017წ. , ცვლილებები 2018 წლის 07 ივნისის ბრძანება N 09 განახლებული რედაქცია)
- პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დირექტორის ბრძანება № 08, 16.09.2017 წ, ცვლილებები: 2018 წლის 07 ივნისის ბრძანება N 08. განახლებული რედაქცია)
- საევაკუაციო გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- შრომითი ხელშეკრულება (N 06, 11.07.2018) (დანართი№7)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შენობაში ასავლელად და სართულებზე გადასაადგილებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

პანდუსების გამოყენების უფლება განსაზღვრულია კოლეჯის მიერ მესაკუთრესთან დადებული იჯარის ხელშეკრულებით. დაწესებულებას აქვთ ადაპტირებული სველი წერტილები სათანადო აბრით.

მიმდინარე სასწავლო წელს დაწესებულებას არ ყავდა სსსმ პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- იჯარის ხელშეკრულებით
- ინტერვიუთი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების შესახებ, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიული პროგრამები, პროფესიული პროგრამების კატალოგი, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ფოტო -გალერეა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჰოსტინგისა და დომენის ხელშეკრულება
- http://www.college.dtmu.ge/index.php?c=1&sub=5

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და მასში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის დამატება.

<u>რეკომენდაცია:</u>

1. დაწესებულების მიერ გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დახვეწის მიზნით, რეკომენდებულია განისაზღვროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები, სტრატეგიული დაგემვა დაეფუძნოს კვლევის შესაბამის მეთოდებს (მაგ. SWOT ანალიზი ან სხვა).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- დაწესებულების მისია
- გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამოქმედო გეგმა

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ექსპერთა ვიზიტის დროს შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და მათი შესაბამისობა მოქმედ რეგულაციებთან „საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის შინაგანაწესში (დაწესებუელბის დირექტორის ბრძანება N11, 04 აპრილი 2016 წელი), არეგულირებს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებელთა შერჩევას და მათ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეებით;
- გასაუბრებით ადმინისტრაციის წევრებთან

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

დაწესებულებას „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ჰყავს 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი [redacted], კვალიფიკაციით არის მედდა და განახორციელებს „მიკრობიოლოგიის“, „ანატომია-ფიზიოლოგიის“, „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიის“ მოდულებს„ რაც არ შეესაბამება მის კვალიფიკაციას.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი [redacted], კვალიფიკაციით - ბებია-ქალი. განახორციელებს მოდულს „გერონტოლოგია-გერიატრიის საფუძვლები“, რაც არ შეესაბამება მის კვალიფიკაციას.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი [redacted], კვალიფიკაციით - სამეანო საქმე. CV-ში მითითებული აქვს, რომ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი „პანაცეა“, თუმცა დიპლომი არ არის წარმოდგენილი. განახორციელებს მოდულს „გერონტოლოგია-გერიატრიის საფუძვლები“, რაც არ შეესაბამება მის კვალიფიკაციას.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი [redacted] - კვალიფიკაციით ფილოლოგი. განახორციელებს მოდულს „სამართლებრივი საკითხები საექთნო საქმეში“, რაც არ შეესაბამება მის კვალიფიკაციას.
5. კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართულ ექთნებს და ამავდროულად, დაწესებულების პროფესიულ მასწავლებლებს: [redacted] წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ უდასტურდებათ საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიან გამოცდილება, რაც მოთხოვნილია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით.
6. კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართულ ექთნებს და ამავდროულად, დაწესებულების პროფესიულ მასწავლებლებს: [redacted], წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ უდასტურდებოდათ უცხო ენისა და კომპიუტერული უნარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენცია. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია ზემოაღნიშნული კომპეტენციის დადასტურების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა „პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების ინგლისური და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციის დადასტურების შესახებ კომისიის ოქმი“, რომელიც დათარიღებული იყო 2018 წლის 28 ივლისით, ხოლო პერსონალთან მომსახურების ხელშკრულება გაფორმებულია 4 ივლისს. ამასთან, ბუნდოვანია თუ რა კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით იხელმძღვანელა კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას, არ არის წარმოდგენილი პერსონალის მიერ ინგლისური ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციის დადასტურების არც ერთი მტკიცებულება.

დაწესებულების მიერ ექსპერტთა დასკვნის პროექტზე საპასუხო წერილით წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, თუმცა ექსპერთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული, კერძოდ:

1. [redacted] სამუშაო გამოცდილების დადასტურების შესახებ ცნობები, რის მიხედვითაც პირს უდასტურდება არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება, თუმცა აღნიშნული გამოცდილებით არ უდასტურდება მოდულის - „გერონტოლოგია-გერიატრიის საფუძვლები“ სწავლების კომპეტენცია
2. [redacted] სამუშაო გამოცდილების დადასტურების შესახებ ცნობები, რის მიხედვითაც პირს უდასტურდება არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება, თუმცა აღნიშნული გამოცდილებით არ უდასტურდება მოდულის - „გერონტოლოგია-გერიატრიის საფუძვლები“ სწავლების კომპეტენცია
3. [redacted] კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ექსპერთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა ადგილზეც, თუმცა **მიგრაციის კვლევების მაგისტრის** კვალიფიკაცია არ იქნა მიჩნეული მოდულის „სამართლებრივი საკითხები საექთნო საქმეში“ განხორციელებისათვის საკმარისად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია მინიჭებულია შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის მიერ.

<u>ხარვეზი:</u>

საგანმანათლებლო პროგრამა არ ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლ პროგრამის „საექთნო განათლება“ მოთხოვნები პროგრამის განმახორციელები პირის მიმართ დაწესებულების 28 პირიდან დარღვეული აქვს 12 პირს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით
- გასაუბრებით ადმინისტრაციის წევრებთან
- დაწესებულების მიერ ექსპერტთა დასკვნის პროექტზე საპასუხო წერილითა და დანართებით
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლ პროგრამით „საექთნო განათლება“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჩარჩო დოკუმენტში და მის საფუძველში შემუშავებული მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში - „საექთნო განათლება“, გაწერილია კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაწესებულების დირექტორის ბრძანება (N23, 31.07.2017).

განათლება	საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილებისა (*II. პროფესიული საქმიანობის კომპეტენციის გრაფაში მითითებული რომელიმე ან რამდენიმე მიმართულებით),* მენტორობის/სწავლების გამოცდილება, სასურველია მეწეჯერულ პროზიციაზე მინიმუმ 6-თვიანი გამოცდილება
უცხოური ენები (მინიმალური მოთხოვნა)	ინგლისური A1
კომპიუტერული უნარები	საოფისე პროგრამების კარგი ფლობა

კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართულ ექთნებისა და ამავდროულად, დაწესებულების პროფესიულ მასწავლებლების: [redacted], შერჩევა განხორციელდა დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის „ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ მოთხოვნების დარღვევით. ამასთან ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართულ ექთნებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამავდროულად, დაწესებულების პროფესიულ მასწავლებლების მიმართ ითხოვს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციას, თუმცა დაწესებულების მიერ აღნიშნული კომპეტენციის დადასტურება განხორციელდა პროცედურული დარღვევითა და არასაიმედოდ. პერსონალთან - [redacted], ჯერ გაფორმდა მომსახურების ხელშკრულება (04.07.2018), შემდეგ შეიქმნა „პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების ინგლისური და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციის დადასტურების შესახებ კომისიის ოქმი“ (28.07.2018). ეს უკანასკნელი წარმოადგენს პერსონალის შერჩევის შემადგენელ კომპონენტს და სხვა მოთხოვნებთან ერთად, საფუძვლად უნდა დაედოს პერსონალთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას.

<u>ხარვეზი:</u>

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი შერჩეულია შესაბამისი პროგრამისა და შიდა მარეგულირებელი აქტის მოთხოვნების დარღვევით. მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას დარღვეულია პერსონალის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების პროცედურული და შინაარსობრივი საკითხები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით, 2018 წლის 04 ივლისს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით
- „პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების ინგლისური და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციის დადასტურების შესახებ კომისიის ოქმი (2018 წლის 28 ივლისი) (დანართი №9)
- დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტი - „ზოგადმარებულირებელ დოკუმენტთა კრებული“

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის /საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საექთნო განათლება/ Nursing	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification of Nursing განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან შესაბამისია (ISCED) – 0913 საექთნო და სამეანო საქმე	180	210	ქართული	თბილისი, წერეთლის გამზ. 117	0	80

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (სულ 2 ფურცელი)

დანართი 2. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 22, 31.07. 2018 (სულ 2 ფურცელი)

დანართი 3. შპს შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორის, 2018 წლის 31 ივლისის N 23 ბრძანებით დამტკიცებული „საექთო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი (სულ 24 ფურცელი და 41 მოდული თადართული სასწავლო გეგმის შესაბამისად)

დანართი 4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, (N 05, 16.11.2015/ N24, 31.07.2018) (სულ 4 ფურცელი)

დანართი 5. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 25, 31.07. 2018 (სულ 1 ფურცელი)

დანართი 6. სტუდენტის ხელშეკრულება (სულ 4 ფურცელი)

დანართი7. შრომითი ხელშეკრულება (N 06, 11.07.2018) (სულ 9 ფურცელი)

დანართი 8. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა (სულ 2 ფურცელი)

დანართი 9. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების ინგლისური და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციის დადასტურების შესახებ კომისიის ოქმი (სულ 2 ფურცელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი 2018